



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 24 ივლისი, 2014 წელი

დრო: 11:00 – 13:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ტიფლის დეველოპმენტი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
2. ნინო ჩხობაძე - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები- საქართველო
3. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
4. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
5. გიორგი მუხიგშივილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
6. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
7. ნუგზარ უფლისაშვილი - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
8. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
9. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
10. თამარ ანთიძე - ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
11. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
12. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის

13. დავით შველიძე - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის

მოწვეული სტუმრები:

1. ხათუნა დიდბარიძე - INOGATE - ის ტექნიკური სამდივნო, ღონისძიებების ორგანიზების და საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი
2. მერაბ ლორთქიფანიძე - კავშირი „მეცნიერება და ენერგეტიკა“
3. ვახტანგ ქიზიყურაშვილი - საქველმოქმედო საზოგადოება ყველა ასაკისათვის
4. ნიკოლოზ ჯავშანაშვილი - ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების მხარდამჭერი ახალგაზრდული ორგანიზაცია
5. ხატია არაბიძე - ქ.თბილისის მერია

❖ შეხვედრა INOGATE-ის (ბრიუსელი) პროექტის წარმომადგენელთან ემილი კულუვარისთან თემაზე: ენერგეტიკის საკითხები, ენერგო ეფექტურობის ცენტრების ჩამოყალიბება

შეხვედრა გახსნა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა და მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა ჯგუფის წევრები და გააცნო მათ სამუშაო ჯგუფის მიზნები და ამოცანები.

ემილი კულუვარისი წარმოადგენს INOGATE- ის პროგრამას (ბრიუსელი), იგი მართავს პროექტს კონსორციუმის ფარგლებში, ასევე არის კომუნიკაციის ექსპერტი და ხელს უწყობს ენერგეტიკის და ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის აქტიურ კომუნიკაციას.

საქართველოში INOGATE-ის ადგილობრივმა წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროგრამის შესახებ ინფორმაცია. INOGATE-ის პროგრამა არსებობს 16 წელია, იგი ხელს უწყობს ენერგეტიკული თანამშრომლობის განვითარებას ევროკავშირის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის ქვეყნებს შორის. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. კავკასიის ოფისი წარმოდგენილია თბილისში, მათ აქტიური თანამშრომლობა აქვთ მთავრობასთან. პროექტის მთავარ ბენეფიციარს წარმოადგენს ენერგეტიკის სამინისტრო.

INOGATE-ის წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ ენერგეტიკის სამინისტროსთან და მერიასთან თანამშრომლობით იგეგმება განახლებადი ენერჯის სადემონსტრაციო-საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბება. ცენტრის უმთავრესი მიზანია მოსახლეობის ინფომირებულობა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება შემდეგ საკითხებზე: რა არის ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯის წყაროები და ა.შ.

მსგავსი სადემონსტრაციო-საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც მოიცავენ ეკოლოგიის

და რესურსების მდგრადი გამოყენების საკითხებს ფუნქციონირებენ ევროპის რიგ ქვეყნებში.

აღნიშნულ ცენტრს შეუძლია მოიცვას და დააინტერესოს მრავალი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფი:

- ❖ ბავშვები - ენერგეტიკოსები და ეკოლოგები
- ❖ ახალგაზრდები - მოსახლეობა / მომხმარებელი
- ❖ კერძო სექტორი - გადაწყვეტილების მიმღებები
- ❖ მედია

ხელი შეუწყოს ამ სფეროში ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული პირის/ორგანიზაციის საქმიანობის გაძლიერებას, მაგალითად: კერძო სექტორს შეუძლია გამოფინოს თავისი პროდუქცია, კვლევით-საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა მოაწიონ ახალი ტექნოლოგიების დემონსტრირება, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოაწიონ თავიანთი სტენდები და გაუწიონ ორგანიზება სხვადასხვა ღონისძიებას.

კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლებელია მეტი ყურადღება დაეთმოს შემდეგი თემატური მიმართულებების გაშუქებას: ენერგოეფექტური მოწყობილობები; როგორ დავზოგოთ ენერგია; ენერგოეფექტურობა და ტრანსპორტი; ქარის და მზის ენერგია და სხვა.

საზოგადოებრივი სადემონსტრაციო-საინფორმაციო ცენტრი შეიძლება გახდეს: ა) ადგილი სხვადასხვა ღონისძიების გასამართად ბ) ინფორმაციის მიწოდების საშუალება გ) სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან დაკავშირების საშუალება ცნობადობის ასამაღლებლად დ) ინვესტორების დაინტერესების მექანიზმი. შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ცენტრს ასევე შეიძლება ჰქონდეს თავისი ვებგვერდი.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ენერგოეფექტურობის ცენტრის ჩამოყალიბების იდეა ეკუთვნოდა მათ ორგანიზაციას, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ შედგა.

შეხვედრის მონაწილეებმა ასევე განიხილეს მომავალი თანამშრომლობის საკითხი.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია